

ԵՐԵՎԱՆԻ ԱՆՅՈՒՆԻ 2018



ՔՐԻՍՏՈՍԻԱՆԱԿԱՆ ԿՐԹԱԿԵԾՈՆ ԹԵԹՄԹԱԿԻՄՈՅՆ ՆՈՂՆԻՏՅՈՒՆՆԵՐԻ



წლიური ანგარიში

ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2017



თბილისი, 2018

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

ანგარიშის ავტორი: თამარ ავალიანი

რედაქტორი: ალექო ცქიტიშვილი

თარგმანი: ნინო ცაგარეიშვილი, ნინო ტლაშაძე

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: კრისტიან გრზივატუ

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი: 0160 თბილისი, ა. გახოვიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48
ფაქსი: (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი: www.humanrights.ge, www.hridc.org.



**National Endowment
for Democracy**
Supporting freedom around the world

ანგარიში მოამზადა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას/შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი.....	6
საკონსტიტუციო ცვლილებები	7
სასამართლო სისტემა.....	10
მოსამართლეთა კანდიდატების წარდგენა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში	11
მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეები.....	12
• ყოფილი გენერალური აუდიტორის ლაშა თორდიას საქმე	12
• დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმე	13
• აფგან მუხთარლის საქმე.....	16
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ივანე მერაბიშვილის საქმეზე	17
2017 წლის 22 ნოემბრის ანტიტერორისტული ოპერაცია	18
უცხოელთა უფლებები.....	18
• მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმე.....	18
• მიკაილ კადიევის საქმე.....	20
• დაშგინ ალაარლის საქმე	20
მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში.....	21
პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტები	22
• მოქალაქე ს.მ.-ს საქმე	23
• მოქალაქე პ.პ.-ს საქმე	23
• ადვოკატ გიორგი მდინარაძის საქმე.....	24
• ზვიად რატიანის საქმე	25
თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე	25
შსს-ს გენერალური ინსპექციის მუშაობის არაეფექტურობა.....	26
დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმის შექმნის საჭიროება	27
რეპრესიული ნარკოპოლიტიკა	27
მთავარი პროკურატურის ახალი დეპარტამენტი და საქმეთა ხელახალი განხილვა ..	28
• ბაკურ კილურაძის საქმე	29
• ვახტანგ მაისიას საქმე.....	29
ფარული მიყურადება და მოსმენები.....	29
ქალთა უფლებები	30

რელიგიურ უმცირესობათა უფლებები	32
დევნილთა უფლებები და ოკუპირებული ტერიტორიები	33
2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები	33
ლგბტ პირთა უფლებები	35
შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება და ბათუმის მოვლენები	36
მედიის თავისუფლება	36
გამოხატვის თავისუფლება	37
შშმ პირთა უფლებები	37
უვიზო მიმოსვლა შენგენის წევრ ქვეყნებში	38
ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიება	38
საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებების შესახებ	39
თავდასხმები საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტზე	40
საერთაშორისო ორგანიზაციები და საელჩოები ადამიანის უფლებების შესახებ	42

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში მიმოხილულია ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში 2017 წელს. ანგარიში ეფუძნება ადამიანის უფლებათა ცენტრის, საქართველოში მოქმედი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოს სახალხო დამცველისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს და შეფასებებს.

ანგარიში მოიცავს საკვანძო მიმართულებებს ადამიანის უფლებათა ისეთ სფეროებში, როგორც არის: პენიტენციური სისტემა, არასათანადო მოპყრობის ფაქტები პენიტენციურ და პოლიციის დაწესებულებებში, პროკურატურის ახალი დეპარტამენტის საქმიანობა, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეები, ნარკოტიკების „ჩადების“ ფაქტები, მედიისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხები, შშმ პირთა მდგომარეობა, ლგბტ პირთა უფლებები, ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის - ოჯახში ძალადობის ფაქტები, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და სხვა.

2017 წლის განმავლობაში, პრობლემას წარმოადგენდა პოლიციელთა მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტები და მისი გამოძიება, გაგრძელდა მოწყვლადი ჯგუფების უფლებების შელახვის ფაქტები და მათი არაეფექტური გამოძიება. მიუხედავად კანონმდებლობაში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებებისა, კვლავ გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირება და პრევენცია.

რელიგიური უმცირესობებისა და ლგბტ პირების უფლებების შელახვის ფაქტებზე არასათანადო რეაგირება 2017 წელსაც წარმოადგენდა გამოწვევას. დაუსჯელი რჩება ამ ჯგუფების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის სხვადასხვა ფაქტები 2017 წლის განმავლობაში, რითაც სახელმწიფო არღვევს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს უმცირესობათა სათანადო დაცვა და უსაფრთხოება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზება დღემდე წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას. არასათანადო და არაეფექტური საკანონმდებლო ბაზა, გარემოში არსებული ბარიერები, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები და განწყობები, განათლებასა და რეაბილიტაციაზე წვდომის დაბალი ხარისხი - აღნიშნული დაბრკოლებები იმ პრობლემათა არასრული ჩამონათვალია, რაც აბრკოლებს შშმ პირების სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებაში.

2017 წელს გაგრძელდა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მედიაზე სავარაუდო ზეწოლის ცალკეული შემთხვევები.

2017 წელსაც კვლავ არ შექმნილა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელიც სამართალდამცველთა სავარაუდო დანაშაულებს გამოიძიებდა.

საკონსტიტუციო ცვლილებები

2017 წლის 26 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღო, რითაც საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიღების ათთვიანი პროცესი დასრულდა¹.

კონსტიტუციური ცვლილებები ადგენს ადამიანის ღირსების ძირითად უფლებას, განამტკიცებს ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითად უფლებას, ამკაცრებს პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის შეზღუდვის პირობებს, ადგენს ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ძირითად უფლებას, ზრდის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტს². კონსტიტუციას ემატება ნორმა გენდერული თანასწორობის შესახებ, რომელიც ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფასა და გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრაზე.

კონსტიტუციური ცვლილებების თანახმად, სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, შექმნას განსაკუთრებული პირობები შშმ პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის. კონსტიტუციის ახალი რედაქცია უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაცვის სტანდარტების ამაღლებას.

საქართველოს კონსტიტუციით მიწას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსის სტატუსი. ოპოზიციურმა პარტიებმა უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე მიწის გასხვისების აკრძალვა გააკრიტიკეს. ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ აკრძალვით გამოწვეულ უარყოფით ეკონომიკურ ეფექტზე³. მიუხედავად დისკუსიებისა, პარლამენტმა მიწის სტატუსთან დაკავშირებული ცვლილებები მიიღო.

ფართოვდება საარჩევნო უფლების მქონე პირთა წრე, სპეციალური მუხლი ეთმობა გარემოს დაცვის უფლებას.

საქართველოს კონსტიტუცია აკონკრეტებს ქორწინების დეფინიციას და განსაზღვრავს მას, როგორც ქალისა და მამაკაცის მონოგამიურ კავშირს ოჯახის შექმნის მიზნით. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, საკონსტიტუციო ჩანაწერი ჰომოფობიურ კონოტაციას ატარებს და ხელს შეუწყობს ლგბტ პირების მიმართ ნეგატიური განწყობების გაძლიერებას⁴.

კონსტიტუციას ემატება ჩანაწერი, რომელიც აკონკრეტებს სასამართლოში სამართლიანი და დროული განხილვის უფლებას, ასევე, დაკონკრეტებულია დაცვის უფლება.

¹ იხ. ინფორმაცია თემაზე: <http://civil.ge/geo/article.php?id=31621>

² იხ. საკონსტიტუციო ცვლილებები: <http://constitution.parliament.ge/proeqti>

³ იხ. განცხადება თამაზე: <http://rustavi2.ge/ka/news/78160>

⁴ იხ. განცხადება თემაზე: <http://www.cso.ge/view.php?type=applications&slug=moszrebebi-sakonstitucio-cvllilebebe-qorwinebastian-dakavshirebit>

კონსტიტუციით შემოღებული იქნება პარლამენტის არჩევის ახალი წესი - პროპორციული სისტემა 2024 წლიდან.

ახალმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა შემოიტანეს პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევის წესი. პრეზიდენტის კანდიდატის წარდგენის უფლება ექნება არანაკლებ 30 ხმოსანს.

კონსტიტუციის ახალი რედაქციით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეები და მოსამართლეები აირჩევიან არა საქართველოს პრეზიდენტის, არამედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, სამწლიანი გამოსაცდელი ვადა გამოყენებულ იქნება მოსამართლის პირველად განწყობის შემთხვევაში, პროკურატურა გადის აღმასრულებელი ხელისუფლებს სისტემიდან და დამოუკიდებელ კონსტიტუციურ ორგანოდ ყალიბდება⁵.

2017 წლის 18 მაისს, კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ ვენეციის კომისიას გაუგზავნა დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კოალიციის მოსაზრებებს კონსტიტუციის ახალ პროექტში სასამართლო ხელისუფლების თავის შესახებ. კოალიციამ პრობლემურად მიიჩნია რამდენიმე ცვლილება, მათ შორის - დებულებები, რომლებიც იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების წესს, მოსამართლეთა გამოსაცდელ ვადას, მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებას და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის წესს ეხება⁶.

მიმდინარე საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესში, სამწუხაროდ, შეუძლებელი აღმოჩნდა კონსენსუსის მიღწევა ინსტიტუციური დემოკრატიის განვითარებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა შორის არის საქართველოს სახელმწიფო მეთაურის კომპეტენციები და არჩევის წესი, საარჩევნო სისტემა⁷.

2017 წლის 2 აგვისტოს, არასამთავრობო სექტორმა გააკრიტიკა რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების გაფართოება საქართველოს კონსტიტუციაში. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, ახალი ფორმულირება ორიენტირებულია რელიგიის თავისუფლებით დაცულ სფეროში არამართლზომიერი ჩარევისა და შეზღუდვის ფართო საფუძვლების შექმნისკენ, რაც შესაძლოა რელიგიური გაერთიანებების დისკრიმინაციის პოლიტიკური ლეგიტიმაციის საფუძვლად იქცეს⁸.

⁵ იხ. საკონსტიტუციო ცვლილებები: <http://constitution.parliament.ge/proeqrti>

⁶ იხ. კოალიციის მოსაზრებები ვენეციის კომისიას: http://www.coalition.ge/index.php?article_id=153&clang=0

⁷ იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებები <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19264&lang=geo;>
<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19234&lang=geo>

⁸ იხ. განცხადება თემაზე: <https://gyla.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebisa-da-iuristebis-mimartva-konstituciashi-reliigiis-tavisuflebis-shezhudvastan-dakavshirebit#sthash.nlD2baI7.dpbs>

ვენეციის კომისია ჩართული იყო საკონსტიტუციო ცვლილებების შეფასებისა და პოლიტიკურ პარტიებს შორის კონსენსუსის მიღწევის პროცესში. ვენეციის კომისიამ საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელება პოზიტიურად შეაფასა. გარდა ამისა, კომისიამ წარმოადგინა რიგი რეკომენდაციები, რომლებიც ძირითადად ფუნდამენტურ უფლებებსა და მართლმსაჯულებას ეხება⁹. საქართველოს პარლამენტმა, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის გაზიარების საფუძველით, მეორე საპარლამენტო მოსმენის ფარგლებში, წარმოდგენილი დებულება შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დანაშაულის თავიდან აცილების, ჯანმრთელობის დაცვის, მართლმსაჯულების განხორციელების ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით“.

არასამთავრობო სექტორის შეფასებით, კონსტიტუციურ პროექტში მოცემული შეზღუდვების საფუძველების გაფართოება, სერიოზული შეშფოთების საფუძველს იძლევა, ვინაიდან საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირი და სისტემური ხასიათი აქვს რელიგიის თავისუფლების უკანონო შეზღუდვისა და სახელმწიფოს არასათანადო, არაეფექტური რეაგირების შემთხვევებს¹⁰.

კონსტიტუციური ცვლილებების მიღებას საშემოდგომო სესიაზე განხილვა დასჭირდა¹¹. მმართველმა პარტიამ თავდაპირველად განაცხადა, რომ მზად არის ოპოზიციასთან დიალოგისთვის, რათა კონსტიტუცია საბოლოოდ პოლიტიკური პარტიების კონსენსუსით დამტკიცდეს. პარტიების თანამშრომლობის მზაობას მიესალმა ვენეციის კომისიის პრეზიდენტი, რომელმაც საკონსტიტუციო რეფორმის თაობაზე კონსენსუსის მისაღწევად, ხელისუფლებასა და ოპოზიციას 6 სექტემბრისთვის სტრასბურგში შეხვედრა შესთავაზა¹². კონსტიტუციის პროექტში განსაკუთრებით პრობლემური იყო საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ნორმები, რაც ოპოზიციური სპექტრის უკმაყოფილებას იწვევდა, ასევე - რელიგიის თავისუფლების საკითხი, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკას იმსახურებდა. 1 სექტემბრისთვის, როცა სტრასბურგში შეხვედრის დრო მოახლოვდა, მმართველმა პარტიამ გამოაცხადა, რომ აღარ აპირებს საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაციებში მონაწილეობას და, პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე, ქვეყნის ძირითად კანონს მესამე მოსმენით,

⁹ იხ. განცხადება თემაზე: <http://epn.ge/?id=53163>

¹⁰ იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19320&lang=geo>

¹¹ იხ. ინფორმაცია თემაზე: <http://www.interpressnews.ge/ge/politika/450465-irakli-kobakhidze-konstituciis-proeqti-aucileblad-iqneba-mighebuli-sashemodgomo-sesiaze-im-sakhith-rogori-sakhithac-aris-damtkickebuli-meore-mosmenith.html?ar=A>

¹² იხ. ინფორმაცია: <http://civil.ge/geo/article.php?id=31485>

რედაქციული ცვლილებებით დაამტკიცებს¹³. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია პარლამენტმა 26 სექტემბრის რიგგარეშე სხდომაზე 117 ხმით, 2-ის წინააღმდეგ, მესამე მოსმენით მიიღო.

სასამართლო სისტემა

2017 წლის 24 მარტს კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ ხელისუფლებას სასამართლო სისტემის თვისობრივი რეფორმირებისაკენ მოუწოდა. კოალიციის განცხადებით, არსებულ ვითარებაში, მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ აღიაროს ის სისტემური პრობლემები, რაც სასამართლოში არსებობს. რეალურად დაისახოს მიზნად სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და სასამართლოს ძირეული რეფორმა დაიწყოს¹⁴.

2017 წლის 17 თებერვალს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 84 ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი გამოაცხადა. რამდენიმე დღის შემდეგ საბჭომ განცხადებები გადაარჩია და გასაუბრებაზე 105 კანდიდატის დაშვების გადაწყვეტილება მიიღო. 4 აპრილს კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის შეჩერებისკენ მოუწოდა. საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებით, საბჭო მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსს ატარებდა კანონმდებლობით, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო¹⁵.

2017 წლის 11 მაისს, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ თანამდებობაზე 64 მოსამართლე დანიშნა, მათგან 5 მოსამართლე (უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების ყოფილი მოსამართლეები) დაინიშნა უვადოდ, გამოსაცდელი პერიოდის გარეშე. კონკურსში მონაწილე კანდიდატების ნაწილმა მათი გასაუბრებები დახურა, მათ შორის - მიხეილ ჩინჩალაძემ, რომლის მიმართაც საზოგადოების ინტერესი განსაკუთრებით მაღალი იყო. ამდენად, საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა, როგორ წარიმართა ამ შემთხვევებში ინტერვიუს პროცესი.

კოალიციის შეფასებით, „მოსამართლეთა დანიშვნის ხარვეზიანი წესის გამო, საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის, რა ფაქტორები მიიღო საბჭომ მხედველობაში მსჯელობისას და რას დააფუძნა მიღებული გადაწყვეტილება. თუმცა, ნათელია, რომ 11 მაისის დანიშვნებმა კიდევ უფრო დიდი კითხვის ქვეშ დააყენა სასამართლოს რეპუტაციის და მის მიმართ საზოგადოების ნდობის საკითხი. საბჭოს გადაწყვეტილებამ ასევე აჩვენა, რომ საბჭო არ ცდილობს, გაიაზროს ის კრიტიკა, რაც ისმის სასამართლო სისტემაში არსებული გავლენიანი ჯგუფების არსებობის შესახებ

¹³ იხ. ინფორმაცია: <http://civil.ge/geo/article.php?id=31559>

¹⁴ იხ. კოალიციის განცხადება: http://www.coalition.ge/index.php?article_id=146&clang=0

¹⁵ იხ. კოალიციის განცხადება: http://www.coalition.ge/index.php?article_id=147&clang=0

და პირიქით, მიღებული გადაწყვეტილებით აძლიერებს ამ ჯგუფების არაფორმალურ გავლენებს¹⁶.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა, 2017 წლის ოქტომბრის თვეში, მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის მორიგ ეტაპს უნდობლობა გამოუცხადეს. მათი შეფასებით, გასაუბრებისას მოსამართლეებს არათანაბარი სირთულის შეკითხვებს უსვამდნენ, შეინიშნებოდა ფავორიტიზმი ზოგიერთი კანდიდატის მიმართ¹⁷.

2017 წლის 20 ნოემბერს კოალიციამ ასევე გაუმჭვირვალედ შეაფასა დამოუკიდებელი ინსპექტორის შესარჩევი კონკურსი და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოუწოდა, გამოაქვეყნოს იმ კანდიდატების ვინაობა და მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები, რომლებიც მონაწილეობენ გამოცხადებულ კონკურსში¹⁸.

მოსამართლეთა კანდიდატების წარდგენა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

2017 წლის 29 აგვისტოს მთავრობამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლის პოზიციაზე ევროპის საბჭოს მიერ დაწუნებული კანდიდატების ჩანაცვლების მიზნით 2 ახალი კანდიდატი - ლალი ფაფიაშვილი და ოთარ სიჭინავა შეარჩია. კონკურსში მონაწილეობას იღებდა უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ლადო ჭანტურია¹⁹.

არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის შეფასებით, როგორც მოსალოდნელი იყო, სამთავრობო კომისიამ თითქმის იდენტური შემადგენლობით და პროცედურებით უკვე მესამედაც ვერ უზრუნველყო ობიექტური კონკურსის ჩატარება და ისეთი კანდიდატების შერჩევა, რომლებიც პროცესის პოლიტიზირების ეჭვებს გაფანტავდა. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატების ნაწილის მიმართ დაისვა შეკითხვები, რომლებიც სრულიად შეუფერებელი იყო კონკურსის მიზნებთან და პოლიტიკური ანგარიშსწორების სულისკვეთებით იყო განმსჭვალული²⁰.

2017 წლის 10 ოქტომბერს, საქართველოდან სტრასბურგის სასამართლოში მოსამართლედ, ხმათა დიდი უმრავლესობით, ასამბლეამ ლადო ჭანტურია აირჩია²¹.

¹⁶ იხ. კოალიციის განცხადება: http://www.coalition.ge/index.php?article_id=151&clang=0

¹⁷ იხ. კოალიციის განცხადება: http://www.coalition.ge/index.php?article_id=170&clang=0

¹⁸ იხ. კოალიციის განცხადება: http://www.coalition.ge/index.php?article_id=171&clang=0

¹⁹ იხ. მთავრობის ინფორმაცია: <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=6491>

²⁰ იხ. კოალიციის განცხადება: http://www.coalition.ge/index.php?article_id=166&clang=0

²¹ იხ. ინფორმაცია: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=31655>

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეები

2017 წელს საზოგადოების ყურადღება მიიპყრო მომეტებული საჯარო ინტერესის მქონე რამდენიმე საქმემ:

- **ყოფილი გენერალური აუდიტორის ლაშა თორდიას საქმე**

გენერალურ აუდიტორ ლაშა თორდიას 2017 წლის 13 მაისს თავს დაესხა ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე და მისი გარემოცვა. ეს თავდასხმა პირდაპირ უკავშირდებოდა გენერალური აუდიტორის საქმიანობას. ამ დროს საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ადამიანის უფლებათა ცენტრმა მიუღებლად მიიჩნია, რადგან აღნიშნული მუხლი არ ითვალისწინებს სამსახურეობრივი მოვალეობის გამო ჩადენილ დანაშაულს. საქმის გამოძიება უნდა წარმართულიყო სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით, რაც გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელზე თავდასხმას მისი საქმიანობის გათვალისწინებით²².

თავდასხმის შემდეგ ლაშა თორდიას აღენიშნებოდა სხეულის სერიოზული დაზიანებები, მათ შორის - ქალა-ტვინის დაზარალებული ტრავმა. ამის მიუხედავად, მას არ აქვს დაზარალებულის სტატუსი.

არასამთავრობო ორგანიზაციები გამოეხმაურნენ საქართველოს გენერალურ აუდიტორსა და ოთარ ფარცხალაძეს შორის მომხდარი ინციდენტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს და გამოძიების მიმდინარეობის საკითხს. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, გამოძიება ლაშა თორდიას საქმეზე მიუკერძოებლად უნდა განხორციელებულიყო²³.

2017 წლის 23 მაისს ფეისბუქზე და შემდეგ სხვა საიტებით გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე „პამ კლუბშია“ გადაღებული. ვიდეოში ანონიმური გამავრცელებლის მტკიცებით, გენერალური აუდიტორი ლაშა თორდია ბარის თანამშრომელს იარაღით ემუქრება²⁴.

კაფე „პამ კლუბში“ განხორციელებული ვიდეოჩანაწერების გასაჯაროების თაობაზე მედიით გავრცელებული ინფორმაციისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადების საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა დაიწყო შპს „პ.ა.მ.“-ის მიერ ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით პერსონალური მონა-

²² იხ. დეტალური ინფორმაცია: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19223&lang=geo>

²³ იხ: თემაზე დეტალური ინფორმაცია:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19222&lang=geo>

²⁴ იხ: თემაზე დეტალური ინფორმაცია: <http://www.tabula.ge/ge/story/123850-qaldanis-utskebam-lasha-tordias-saqmeze-klubi-samartaldamrghvevad-cno>

ცემების დამუშავების კანონიერების შემოწმება²⁵. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიამ ვიდეოჩანაწერები მესამე პირს გადასცა მხოლოდ ერთხელ - 2016 წლის 27 დეკემბერს. ვიდეოჩანაწერები გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით. შესაბამისად, შპს „პ.ა.მ“-ი ცნობილ იქნა ამავე კანონის 43-ე მუხლით (მონაცემთა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე დამუშავება) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად. სამართალდარღვევა ითვალისწინებს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით²⁶.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, აღნიშნული ვიდეო შემდგომში კერძო პირის ხელში მოხვდა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, რადგან ვიდეო „პ.ა.მ.“-ის მიერ მხოლოდ შსს-სთვის იყო გადაცემული. ამავდროულად, გამოძიება კანონდარღვევით მოპოვებულ ვიდეოს ვერ გამოიყენებდა მტკიცებულებად და სავარაუდოდ, დაიგეგმა ვიდეო მტკიცებულების გავრცელება სოციალურ ქსელში, რათა ამის შემდგომ დართვოდა საქმეს მტკიცებულების სახით²⁷.

- **დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმე**

2017 წლის 13 თებერვალს, მთავარმა პროკურორმა საზოგადოებას ამცნო, რომ 10 თებერვალს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მკვლელობის მომზადების ბრალდებით დეკანოზი გიორგი მამალაძე დააკავეს. მთავარი პროკურორის განმარტებით „დეკანოზ გიორგი მამალაძეს უნდა მოეხდინა მაღალი იერარქიის სასულიერო პირის სიცოცხლის ხელყოფა“²⁸.

საგამოძიებო ორგანოებმა განაცხადეს, რომ ჩხრეკისას დეკანოზის ბარგიდან ამოიღეს ნატრიუმის ციანიდი, ხოლო მისი სახლიდან – ცეცხლსასროლი იარაღი. პროკურატურის განცხადების მიხედვით, ბრალდებული სავარაუდოდ მაღალი იერარქიის სასულიერო პირის მკვლელობას გეგმავდა. თუმცა, მოგვიანებით ბრალდების შესახებ დადგენილებაში, რომელიც 11 თებერვალს შედგა, მკვლელობის სავარაუდო ობიექტად პატრიარქის მდივან-რეფერენტი შორენა თეთრუაშვილი იყო მითითებული. მთავარი პროკურორის თავდაპირველი განცხადების ბუნდოვანების გამო, შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი, რომ მკვლელობის ობიექტს საქართველოს პატრიარქი წარმოადგენდა.

საქართველოს მთავარი პროკურორის ბრიფინგს, რომლითაც მან დეკანოზ გიორგი მამალაძის დაკავება დაადასტურა, არაერთი საჯარო თანამდებობის პირი და

²⁵ იხ: თემაზე დეტალური ინფორმაცია:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19322&lang=geo>

²⁶ იქვე: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19322&lang=geo>

²⁷ იხ. იქვე, <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19322&lang=geo>

²⁸ იხ. მთავარი პროკურორის განცხადება: http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1137

პოლიტიკოსი გამოეხმაურა. პრემიერ-მინისტრის²⁹, პარლამენტის წევრების³⁰, მინისტრებისა³¹ და სხვა პირების შეფასებით, ქვეყანა დიდ ტრაგედიას გადაურჩა. პრემიერ-მინისტრისა და სხვა საჯარო პირთა განცხადებები შეიცავდა პირდაპირ მინიშნებებს, რომ მკვლელობის სავარაუდო ობიექტს პატრიარქი წარმოადგენდა.

საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნულ ფაქტს საჯარო განცხადებით გამოეხმაურა და მოუწოდა მთავარ პროკურატურას, მაღალი თანამდებობის პირებს პატივი ეცათ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპისთვის³².

არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეშფოთება გამოთქვეს დეკანოზ გიორგი მამალაძის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევასთან დაკავშირებით და მოუწოდეს შესაბამის თანამდებობის პირებს დაეცვათ საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნები³³.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით „მაღალი თანამდებობის პირების მიერ გაკეთებული განცხადებები არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, რამაც, ამავე დროს, შესაძლოა, ზეგავლენა იქონიოს საზოგადოების წინასწარი აზრის ფორმირებაზე და საფრთხე შეუქმნას სამართლიან და მიუკერძოებელ სამართალწარმოებას“³⁴.

პროკურატურამ გიორგი მამალაძეს და მის ადვოკატებს გაუთქმელობის ხელწერილი ჩამოართვა, რითაც დაცვის მხარეს შეეზღუდა მტკიცებულებების მოპოვებისა და საზოგადოებისათვის საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა, მაშინ, როდესაც პროკურატურა საქმეში არსებულ მთავარ მტკიცებულებებს თავად ასაჯაროებდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოუწოდა საქართველოს მთავარ პროკურატურას, გაენთავისუფლებინა დაკავებული დეკანოზი, გიორგი მამალაძე და მისი ადვოკატები გაუთქმელობის ხელწერილის ვალდებულებებისაგან და მიეცა მხარისთვის საშუალება, ეფექტურად გამოეყენებინა დაცვის მექანიზმი³⁵.

²⁹ იხ. პრემიერ-მინისტრის განცხადება: <http://netgazeti.ge/news/173262/>

³⁰ იხ. პარლამენტის წევრების განცხადება: <http://www.interpressnews.ge/ge/politika/418685-mamuka-mdinaradze-sasuliero-piris-motsamvlis-mcdelobaze-sagamodziebo-jgufis-?ar=A>

³¹ იხ. მინისტრის განცხადება: <http://www.interpressnews.ge/ge/politika/418679-kakha-kaladze-dekanozis-dakavebaze-es-iyo-kargad-gathvlili-gegma-romlis-?ar=A>

³² იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება: <http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-gancxadeba-dekanoz-giorgi-mamaladzis-saqmestan-dakavshirebit.page>

³³ იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებები: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19119&lang=geo;>
<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19122&lang=geo>

³⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19119&lang=geo>

³⁵ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19123&lang=geo>

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, ადვოკატებისათვის გაუთქმელობის ვალდებულების დაკისრებით დაირღვა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი³⁶.

თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის სამივე ეტაპზე, სასამართლო პროცესები დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა.

არასამათავრობო ორგანიზაციების შეფასებით, დეკანოზ გიორგი მამალაძის სასამართლო პროცესების მთლიანად დახურვა არ ემსახურებოდა სისხლის სამართლის პროცესით გათვალისწინებულ სასამართლო სხდომების დახურვის ლეგიტიმურ მიზანს და მსგავსი რადიკალური ზომის გამოყენების საჭიროება არ არსებობდა³⁷.

2017 წლის 30 მაისს საქართველოს სახალხო დამცველი იმყოფებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში ე.წ. „ციანიდის საქმის“ პროცესზე დასწრების მიზნით. საქმის განხილველმა მოსამართლემ სახალხო დამცველს არ მისცა შესაძლებლობა, დასწრებოდა აღნიშნულ სხდომას. მოსამართლის განმარტებით, საპროცესო კანონმდებლობა სახელდებით არ შეიცავს ნორმას დახურულ პროცესზე სახალხო დამცველის დასწრების შესახებ. მოგვიანებით, სახალხო დამცველი სასამართლომ დახურულ სასამართლო სხდომებზე დაუშვა³⁸.

2017 წლის 5 სექტემბერს, დეკანოზ გიორგი მამალაძეს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. გიორგი მამალაძეს ბრალდება ანგარებით მკვლელობის მომზადების მცდელობას ედავებოდა. მოსამართლემ პროკურატურის მიერ წაყენებული ბრალი გადააკვალიფიცირა. წაყენებული ბრალი 18/108-ე მუხლით გადააკვალიფიცირდა, რაც განზრახ მკვლელობის მომზადებას გულისხმობს. მოსამართლემ ბრალდებას მოხსნა ანგარებით მკვლელობის მომზადება. თბილისის საქალაქო სასამართლოში ე. წ. ციანიდის საქმეზე სასამართლო განხილვა თითქმის 8 თვე მიმდინარეობდა³⁹.

2017 წლის ოქტომბერში გიორგი მამალაძემ გამამტყუნებელი განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა⁴⁰.

³⁶ იხ. სახალხო დამცველის განცხადება: <http://ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcveli-ew-cianidis-saqmis-monitoringis-angarishs-aqveynebs.page>

³⁷ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადებები: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19271&lang=geo>; <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19201&lang=geo>

³⁸ იხ. ინფორმაცია საქმეზე: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19229&lang=geo>

³⁹ იხ. ინფორმაცია ე.წ. „ციანიდის“ საქმეზე: <http://rustavi2.ge/ka/news/84159>

⁴⁰ იხ. ინფორმაცია ე.წ. „ციანიდის“ საქმეზე: : <https://1tv.ge/news/tbilisis-saapelacio-sasamartloshi-e-w-cianidis-saqmis-gankhilva-iwyeba>

- აფგან მუხთარლის საქმე

თბილისში მცხოვრები აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი 2017 წლის 29 მაისის საღამოს ქალაქის ცენტრიდან გაუჩინარდა⁴¹. მომდევნო დღეს ის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა, სადაც აზერბაიჯანის სამართალდამცავებმა დააკავეს და ბრალი წაუყენეს საზღვრის უკანონო კვეთის, დიდი ოდენობით უცხოური ვალუტის კონტრაბანდისა და პოლიციისადმი დაუმორჩილებლობისთვის. ჟურნალისტი მიუთითებდა, რომ იგი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის, კრიმინალური პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა ქართულად მოლაპარაკე პირებმა გაიტაცეს და შემდეგ აზერბაიჯანელებს გადასცეს, რომლებმაც მას ხელბორკილები დაადეს და სასტიკად სცემეს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე მიმდინარეობს, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს⁴².

2017 წლის 3 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველმა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის დაზარალებულად ცნობა მოითხოვა და მის მიმართ შსს-ს თანამშრომლების მიერ განხორციელებული შესაძლო დანაშაულის ფაქტზე საქართველოს მთავარ პროკურორს ეფექტიანი გამოძიების უზრუნველყოფის წინადადებით მიმართა⁴³. სახალხო დამცველის განცხადებით, „პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, გატარდეს ყველა ზომა დანაშაულის დროულად აღსაკვეთად, ხოლო შემდეგ – ყველა დამნაშავე პირის პასუხისგებაში მისაცემად და მათთვის ადეკვატური სასჯელის დასაკისრებლად. საქართველოს სახელმწიფომ სრულად უნდა უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირის უფლების დაცვა⁴⁴. საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, აფგან მუხთარლის მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულის ფაქტზე გამოძიების წარმოება იმავე სამინისტროს მიერ ვერ უზრუნველყოფს ეფექტიანი გამოძიებისთვის საჭირო დამოუკიდებლობის ხარისხს“⁴⁵.

⁴¹ იხ. ინფორმაცია აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმეზე:

<http://liberali.ge/news/view/29575/adamianis-uflebata-sakhli-azerbaijaneli-zhurnalisti-afgan-mukhtarli-saqartveloshi-gauchinarda>; <http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1251&lang=geo>

⁴² იხ. ინფორმაცია ჟურნალისტის საქმეზე: <http://rustavi2.ge/ka/news/77286>

⁴³ იხ. სახალხო დამცველის განცხადება:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19268&lang=geo>

⁴⁴ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19227&lang=geo>

⁴⁵ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19268&lang=geo>

2017 წლის 6 და 9 ივნისს, საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციებმა აფგან მუხთარლის გატაცების გამო საქართველოს პრემიერ-მინისტრს და პარლამენტს ღია წერილით მიმართეს⁴⁶. ორგანიზაციებმა იმედი გამოთქვეს, რომ გამოძიება დაადგენს გამტაცებლების ვინაობას და ნათელს მოჰყენს ამ ფაქტში საქართველოს ხელისუფლების შესაძლო როლს⁴⁷. აფგან მუხთარლის საქმეზე გამოძიება პროკურატურაში მიმდინარეობს. აფგან მუხთარლის ინტერესებს იცავს „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ იურისტი არჩილ ჩოფიკაშვილი, თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის პროექტის ფარგლებში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ივანე მერაბიშვილის საქმეზე

2017 წლის 28 ნოემბერს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ყოფილი პრემიერ მინისტრის ვანო მერაბიშვილის საქმეზე გადაწყვეტილება გამოიტანა. საქმე ეხებოდა ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებას და წინასწარ პატიმრობას, მისი საჩივრის მიხედვით.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის წინასწარი პატიმრობა თავდაპირველად გამართლებული იყო, მაგრამ მოგვიანებით იგი გამოიყენეს სხვა საქმეების თაობაზე ინფორმაციის მოსაპოვებლად⁴⁸.

შედეგად, სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა⁴⁹, რომ დაირღვა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-18 მუხლი (უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები), მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტთან ერთად (თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება).

თავის გადაწყვეტილებაში სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ მართალია, მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობა „ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართულ ოცნებას“ შორის მწვავე პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე“ მოხდა, მისი არგუმენტები „არ არის საკმარისი იმის საჩვენებლად, რომ დაპატიმრების მთავარი მიზანი - ქართული პოლიტიკიდან მისი ჩამოშორება და არა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი წარმოების სათანადო განხორციელება იყო“. თუმცა,

⁴⁶ იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19242&lang=geo>

⁴⁷ იქვე: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19242&lang=geo>;

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19240&lang=geo>;

<http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1251&lang=geo>

⁴⁸ ინფორმაცია ვრცლად, იხ.: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=31817>

⁴⁹ გადაწყვეტილება სრული სახით იხ.: http://civil.ge/files/files/2017/Merabishvili_v.-Georgia_Judgement.pdf

გადაწყვეტილებაში, ასევე, აღნიშნულია, რომ ვანო მერაბიშვილის მიმართ ჩადენილი დარღვევები მისი პოლიტიკური სტატუსიდან მომდინარეობდა.

ევროპის სასამართლომ მერაბიშვილისთვის 4 000 ევროს ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების გადაწყვეტილება მიიღო.

2017 წლის 22 ნოემბრის ანტიტერორისტული ოპერაცია

2017 წლის 22 ნოემბრის ანტიტერორისტული ოპერაცია, რომელიც თბილისში ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე 20 საათის განმავლობაში გრძელდებოდა, სავარაუდო ტერორისტების ლიკვიდაციით დასრულდა. მათ შორის იყო 2012 წლის ე.წ. ლაფანყურის მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე, ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენელი, აშშ-ის მიერ საერთაშორისო ტერორისტთა სიაში შეყვანილი ახმედ ჩატაევი. 22 საათიან ოპერაციას ერთი სპეცრაზმელის სიცოცხლე შეეწირა, ოთხი სამართალდამცველი დაიჭრა. ტერორისტულ ორგანიზაციასთან კავშირში მყოფი სულ ოთხი პირი უწყვედა სამართალდამცავებს წინააღმდეგობას. მათგან სამი ლიკვიდირებულია, ერთი – დაკავებული⁵⁰. აღნიშნულ სპეცოპერაციამ საზოგადოებაში ბევრი მიმართულებით წარმოშვა კითხვები, კერძოდ - როგორ მოხვდნენ ტერორისტები საქართველოში, რატომ შემოიშვეს მესაზღვრეებმა, არიან თუ არა დაცული საქართველოს მოქალაქეები ტერორიზმის საფრთხისგან და სხვა. ამ კითხვებზე პასუხების გაცემის მიზნით, საპარლამენტო ოპოზიციამ პარლამენტში დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნა მოითხოვა, რაზეც მმართველმა პარტიამ უარი განაცხადა.

უცხოელთა უფლებები

2017 წელსაც გამოწვევას წარმოადგენს ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების პრობლემები:

- *მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმე*

მუსტაფა ემრე ჩაბუქი, რომელიც თბილისში დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ერთ-ერთი მმართველია, 2017 წლის 24 მაისს თურქეთის ხელისუფლების თხოვნით დააკავეს. მას ბრალად ედება კავშირი ფეთჰულაჰ გიულენთან ასოცირებული ორგანიზაცია FETÖ-სთან, რომელსაც თურქეთის ხელისუფლება ტერორისტულ ორგანიზაციად მოიხსენიებს. FETÖ-სთან კავშირს ბრალდებული უარყოფს. თბილისის საქალაქო სასამართლომ 25 მაისს ჩაბუქს სამთვიანი

⁵⁰ იხ: განცხადება თემაზე: <https://jam-news.net/?p=71471&lang=ka>

საექსტრადიციო პატიმრობა შეუფარდა⁵¹. მუსტაფა ემრე ჩაბუქი, თურქული სკოლის მასწავლებელი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, თურქეთში ექსტრადიციის გარდაუვალი რისკის წინაშე დგას, სადაც მას წამება და ადამიანის უფლების სხვა მძიმე დარღვევები ემუქრება.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმეზე სამართლებრივი შეფასება გაუზიარეს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს იუსტიციის მინისტრს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს, საქართველოს მთავარ პროკურორს⁵². დოკუმენტის თანახმად, მუსტაფა ემრე ჩაბუქის თურქეთში ექსტრადიციის არსებითად დაარღვევს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზანაესობის ფუნდამენტურ სტანდარტებს და დააზიანებს ქვეყნის დემოკრატიული გავითარების პროცესს⁵³.

2017 წლის 7 ივლისს, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, მუსტაფა ემრე ჩაბუქს ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე უარი უთხრა⁵⁴, რაც აგვისტოს თვეში მუსტაფა ემრე ჩაბუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა.

2017 წლის 26 სექტემბერს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (amicus curiae) წარადგინა⁵⁵. სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში ადამიანის უფლებათა ცენტრი აღნიშნავს, რომ მუსტაფა ემრე ჩაბუქს უნდა მიენიჭოს ლტოლვილის სტატუსი. მისი ექსტრადირება თურქეთში საფრთხის შემცველია მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ადამიანის უფლებათა ცენტრმა მონიტორინგი გაუწია მუსტაფა ჩაბუქის საქმის განხილვას თბილისის საქალაქო სასამართლოში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2017 წლის 21 ნოემბერს ძალაში დატოვა ლტოლვილთა სამინისტროს გადაწყვეტილება, რითაც მუსტაფა ემრე ჩაბუქს და მისი ოჯახის წევრებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვათ⁵⁶.

⁵¹ იხ. განცხადება მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმეზე: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=31305>

⁵² იხ. სამართლებრივი შეფასება: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19253&lang=geo>

⁵³ იქვე, <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19253&lang=geo>

⁵⁴ იხ. ინფორმაცია მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმეზე :

<https://www.youtube.com/watch?v=DhfvkT7Sg-E>

⁵⁵ იხ. ინფორმაცია: მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმეზე :

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19352&lang=geo>

⁵⁶ იხ. ინფორმაცია მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმეზე : <http://www.civil.ge/geo/article.php?id=31798>

- **მიკაილ კადიევის საქმე**

2017 წლის ოქტომბრის თვეში, სააკველაციო სასამართლომ დააკმაყოფილა დევნილთა სამინისტროს სარჩელი, რითაც ჩეჩნეთიდან დევნილ მიკაილ კადიევს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვა. მიკაილ კადიევი შესაძლოა, რუსეთში ექსტრადიციის საფრთხის წინაშე დადგეს. რუსეთში მას ბრალს მკვლელობაში სდებენ და საქართველოდან ექსტრადირებას ითხოვენ. როგორც უფლებადამცველები აღნიშნავენ, რუსეთში ექსტრადირების შემთხვევაში, მას ემუქრება წამება და შესაძლოა - სიკვდილიც. საქართველოს ლტოლვილთა სამინისტროში კი აცხადებენ, რომ არანაირი პოლიტიკური მოტივი ამ საქმეში არ არის და დაცვის მხარეს საქართველოში მისი ლეგალურად დარჩენა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავის არიდებისთვის უნდა⁵⁷. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვის შემდგომ მიკაილ კადიევის საქმეს შესაძლოა უსაფრთხო ქვეყანაში გადაყვანასთან დაკავშირებით გაეროს ლტოლვილთა კომისარიატი იხილავს.

- **დაშინ ალაღარლის საქმე**

2016 წლის ივნისის თვეში, ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი დახმარებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აზერბაიჯანის მოქალაქეებს, დაშინ და ორხან ალაღარლებს ლტოლვილის სტატუსი მიანიჭა. თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა მოსარჩელების პოზიცია, რომ ალაღარლების აზერბაიჯანისთვის გადაცემის შემთხვევაში, საფრთხე დაემუქრებოდა მათ სიცოცხლეს და დაექვემდებარებოდნენ წამებას და პოლიტიკურ დევნას⁵⁸.

საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ დაშინ ალაღარლის მიმართ გამძაფრდა დევნა და ფსიქოლოგიური ზეწოლა. 2016 წლის 6 სექტემბერს მას მობილურ ტელეფონზე დაუკავშირდა ორი სხვადასხვა, გაურკვეველი პიროვნება და მოსთხოვეს თბილისში რომელიმე სკვერში შეხვედრა და გასაუბრება. ერთ შემთხვევაში პირმა მას უთხრა, რომ იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ხოლო მეორე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლად გაეცნო. ამ ფაქტზე ორივე უწყებამ უარყო მათი სახელით დაშინ ალაღარლისთან დაკავშირება, მაგრამ თუ ვინ დაუკავშირდა მას, ამ საკითხზე დღემდე არც ერთი უწყება არ დაინტერესებულა.

⁵⁷ იხ. ინფორმაცია მიკაილ კადიევის საქმეზე: <http://liberali.ge/news/view/32235/mosalodnelia-tu-ara-mikail-kadievis-egstraditsia-da-ra-saftrkhe-daemuqreba-mas-rusetshi>

⁵⁸ იხ. ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=18791&lang=geo>

საინტერესოა, რომ აღნიშნული ინციდენტის შემდგომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ, კვლავ კონტრდაზვერვის დასკვნის საფუძველზე, გააუქმა საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და თავისი გადაწყვეტილებით დაშინ ალაღარლის უარი უთხრა ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე⁵⁹.

2017 წლის ივნისის თვეში, ადამიანის უფლებათა ცენტრის სამართლებრივი დახმარებით, დაშინ ალაღარლიმ და ორხან ალაღარლიმ ერთწლიანი არგამეგების დამადასტურებელი დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა მიიღეს.

მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა პენიტენციურ დაწესებულებებში

2017 წელს, პენიტენციურ სისტემაში განხორციელდა ინსტიტუციური რეფორმა, რომლის ფარგლებშიც, პატიმრობის კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა. დადებითად უნდა შეფასდეს დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულთათვის უმადლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, ადმინისტრაციული პატიმრობის ვადების შემცირება, საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულებისთვის წლის განმავლობაში ორი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა, ქალი მსჯავრდებულებისათვის, რომლებსაც პენიტენციურ დაწესებულებებში 3 წლამდე ბავშვი ჰყავდათ, ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში, უქმე დღეებში თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების შესაძლებლობის მინიჭება და სხვა⁶⁰. მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, უარყოფითად უნდა შეფასდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც აიკრძალა პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის მიმოწერა, მსჯავრდებულებს დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში შეეზღუდათ სასწავლო პროცესში მონაწილეობის, ვიდეოპაემნის და ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება⁶¹.

სახალხო დამცველი მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნევს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ კრიმინალურ სუბკულტურას, რაც პატიმრების არასათანადო მოპყრობის სერიოზულ საფრთხეს ქმნის და ხშირად ხდება პატიმრებს შორის ძალადობის და ჩაგვრის მიზეზი⁶².

პენიტენციურ სისტემაში დაფიქსირდა არასათანადო მოპყრობის ცალკეული შემთხვევები. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადებით, შეზღუდული

⁵⁹ იხ განცხადება: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19239&lang=geo>

⁶⁰ იხ. საქართველოს პატიმრობის კოდექსი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612>

⁶¹ იქვე - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612>

⁶² იხ. სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში: <https://www.youtube.com/watch?v=DJRLj0EVNcY>

შესაძლებლობის მქონე მსჯავრდებული ს.ს., რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად მოძრაობა და გადაადგილდება ეტლით, აცხადებდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. მსჯავრდებულის განცხადებით, გავლენიანი პატიმრები მის მოკვლას ცდილობდნენ, რაშიც მათ ხელს უწყობდნენ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები⁶³.

ამასთანავე, ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც მსჯავრდებულები არასათანადო, არაეფექტიან და დაგვიანებულ ოპერაციულ თუ ამბოლატორიულ მკურნალობაზე საუბრობენ⁶⁴.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, პენიტენციურ სისტემაში კვლავ პრობლემად რჩება მძიმედ დაავადებული მსჯავრდებულების სასჯელისგან გათავისუფლება. სასჯელადსრულების და პრობაციის სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია გადაწყვეტილებას იღებს ძალოვანი სტრუქტურიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. კომისია ამტკებს თავის უფლებამოსილებას და არღვევს დებულებას და ნორმატიულ აქტს, რომელთა თანახმად, მსჯავრდებულის დაავადება თუკი შეესაბამება მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალს, იგი სასჯელისგან უნდა გათავისუფლდეს⁶⁵.

პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტები

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, 2017 წელს, გასული წლების მსგავსად, სახალხო დამცველის აპარატმა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის თაობაზე არაერთი საჩივარი შეისწავლა⁶⁶. 2017 წლის 10 თვის მონაცემებით, გასულ წლებთან შედარებით გაიზარდა დაკავებისას და დაკავების შემდეგ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობათა შესახებ მომართვიანობა. სახალხო დამცველი მთავარ პრობლემად არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების გაჭიანურებას და არაეფექტიან გამოძიებას მიიჩნევს.

⁶³ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19301&lang=geo>

⁶⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ფილმი:

<http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1244&lang=geo>

⁶⁵ იხ: ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19162&lang=geo>

⁶⁶ იხ: სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში:

<https://www.youtube.com/watch?v=DJRLj0EVNcY>

პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტების არაეფექტიან გამოძიებაზე არასამთავრობო ორგანიზაციებიც საუბრობენ⁶⁷.

- **მოქალაქე ს.მ.-ს საქმე**

მოქალაქე ს.მ., რომელსაც ამჟამად ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს, პოლიციის თანამშრომლებმა 2017 წლის 22 სექტემბერს დააკავეს და სოფელ დილომში ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს მე-6 განყოფილებაში გადაიყვანეს⁶⁸. როგორც მოქალაქე აცხადებს, მასზე პოლიციაში მიყვანისთანავე დაიწყო ზეწოლა, რათა ეღიარებინა დანაშაული, რომელიც მას არ ჩაუდენია. კერძოდ, პოლიციელები სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფით, აიძულებდნენ, ხელი მოეწერა მათ მიერვე წინასწარ შედგენილ აღიარებით ჩვენებაზე. დაკავებულმა აღიარებაზე უარი განაცხადა და მოითხოვა ადვოკატი, რაც არ დაკმაყოფილდა. მას, ასევე, არ მიეცა დარეკვის უფლება. იგი სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მოინახულეს და დარღვევები დააფიქსირეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა მთავარ პროკურატურას მიმართა, დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება ბრალდებულ ს.მ.-ს სავარაუდო ცემის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე; გამოძიების ეფექტიანად წარმართვისთვის სასწრაფოდ დაინიშნოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და ჩატარდეს ყველა საჭირო და აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება⁶⁹.

- **მოქალაქე პ.პ.-ს საქმე**

2017 წლის 25 ოქტომბერს, ნუცუბიძის ფერდობზე, პოლიციის მიერ მოქალაქის დაკავებას ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და მისი გარდაცვალება მოჰყვა.

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, აღნიშნულ ეპიზოდზე ვიდეო-ჩანაწერების არარსებობა კიდევ უფრო ამძაფრებს საზოგადოებაში ამ საქმეზე არსებულ კითხვებს, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა შსს-ში მოქმედი შიდა ინსტრუქციითა და ეთიკის კოდექსით, პატრულის თანამშრომელი ვალდებულია, აწარმოებდეს ვიდეო-გადაღებას. სამხრე ვიდეო კამერების ჩანაწერები მნიშვნელოვანი და ხშირ შემთხვევაში ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულებაა იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა პოლიციის

⁶⁷ იხ: ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19336&lang=geo>

⁶⁸ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ფილმი:

<http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1245&lang=geo>

⁶⁹ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19336&lang=geo;>

მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებას, თუ სხვა ტიპის დარღვევას ადგილი⁷⁰. ორგანიზაციებმა მოუწოდეს შსს-ს, შეიმუშავოს პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტების პრევენციის ერთიანი სტრატეგია და აღჭურვის მოქალაქეებთან უშუალო შემხებლობაში მყოფი ყველა თანამშრომელი სამხრე-ვიდეო კამერით, აგრეთვე განსაზღვროს აღნიშნული ტექნიკური საშუალების გამოყენების ერთიანი წესები;

- **ადვოკატ გიორგი მდინარაძის საქმე**

2017 წლის 23 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემაზე ბრალდებულ ლაშა კვიციანიას სასჯელის სახედ მხოლოდ 10 000 ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა⁷¹.

სასამართლომ ვაკე-საბურთალოს პოლიციის მეხუთე განყოფილების ყოფილი უფროსი დამნაშავედ მხოლოდ უფლებამოსილების გადამეტებაში ცნო და გაამართლა ძალადობის განხორციელების ნაწილში.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა შეშფოთება გამოხატა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რითაც მან ფაქტობრივად გაამართლა ადვოკატზე ძალადობა პოლიციის განყოფილებაში და პოლიციის თანამშრომლები ძალადობისკენ წახალისა⁷². გიორგი მდინარაძის ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს.

ს.მ.-ს და ადვოკატ გიორგი მდინარაძის საქმეებთან დაკავშირებით, საქართველოს ხელისუფლებისადმი გაგზავნილ ერთობლივ წერილში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH) და მისი წევრი ორგანიზაცია საქართველოში - ადამიანის უფლებათა ცენტრი, გამოხატავენ შეშფოთებას დაკავების ადგილებში სასტიკი და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების მზარდი რაოდენობის გამო⁷³. FIDH და ადამიანის უფლებათა ცენტრი მიმართავენ პრემიერ-მინისტრს, შს მინისტრსა და მთავარ პროკურორს და შეახსენებენ, რომ სახელმწიფო ვალდებულია, არა მარტო აღკვეთოს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები, არამედ მიუკერძოებლად და ეფექტიანად გამოიძიოს თითოეული ფაქტი.

⁷⁰ იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19379&lang=geo>

⁷¹ იხ. ინფორმაცია: <http://reginfo.ge/people/item/3313-advokatis-zemashi-braldebuhl-poliziis-upross-10-000-lariani-jarima-daekisra>

⁷² იხ. ინფორმაცია: <http://www.etanews.ge/geo/main/index/59371>

⁷³ FIDH-ისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის ერთობლივი წერილი: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19428&lang=geo>

- **ზვიად რატიანის საქმე**

2017 წლის 23 დეკემბერს პოეტი ზვიად რატიანი წვრილმანი ხულიგნობის და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევრის ბრალდებით დააკავეს. თავად პოეტი სამართალდამცავებს მისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებს. რატიანის თქმით, ის ქურთუკის ფერის გამო დააკავეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ. ზვიად რატიანს სხეულზე დაზიანებები აღენიშნებოდა⁷⁴.

ზვიად რატიანს სოლიდარობა გამოუცხადეს მწერლებმა და გამომცემლებმა, რომლებმაც პოეტის ცემაში მონაწილე სამართალდამცავების დასჯა მოითხოვეს.

თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან ზვიად რატიანის მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ძალადობით გადამეტების ფაქტზე. შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ გამოძიების დასრულებამდე ერთ პოლიციელს უფლებამოსილება შეუჩერა.

ზვიად რატიანის ინტერესებს ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) იცავს. ორგანიზაციამ სახელმწიფო უწყებებს მიმართა და მოითხოვა გამოძიების პროცესში რატიანის ჩართულობის მიზნით მას დაზარალებულის სტატუსი მიენიჭოს. ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროში და პოლიციის განყოფილებაში დაიგეგმოს სისტემური რეფორმა. პარლამენტში კი შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელსაც მსგავსი შემთხვევების გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის კომპეტენცია ექნება⁷⁵.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ზვიად რატიანი, რომელიც პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევრისა და ხულიგნობის მუხლით იყო დაკავებული, სამართალდამრღვევად სცნო და ჯარიმის სახით 2000 ლარის გადახდა დააკისრა⁷⁶. აღნიშნულ გადაწყვეტილებას ზვიად რატიანი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე

2017 წლის 26 დეკემბერს, დაახლოებით 04:00 საათზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა პანკისის ხეობის რამდენიმე სოფელში სპეცოპერაცია ჩაატარეს, რა დროსაც დააკავეს ოთხი ადამიანი, ხოლო სოფელ დუისის მაცხოვრებელი თემირლან მაჩალიკაშვილი მძიმედ დაჭრეს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებული

⁷⁴ იხ: ინფორმაცია თემაზე: <https://reginfo.ge/people/item/4475-sasamartlom-poeti-zviad-ratiani-2000-larit-daajarima>

⁷⁵ იხ: ინფორმაცია თემაზე: <https://www.youtube.com/watch?v=jnHCOZuroxo> ბ

⁷⁶ იხ: ინფორმაცია თემაზე: <https://reginfo.ge/people/item/4478-zviad-ratianis-jarimis-gadasaxdelad-2000-lari-moqalaaqeebma-sheagroves>

განცხადების თანახმად, 19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილი დაკავებისას წინააღმდეგობის გაწევას და ხელყუმბარის გააქტიურებას შეეცადა, რა დროსაც სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმა მისი მისამართით ისროლეს და თავის არეში დაჭრეს.

ამ ვერსიას არ იზიარებენ შემთხვევის ადგილზე მყოფი თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრები, რომლებიც აცხადებენ, რომ სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრებმა მათი შვილის მიმართ გასროლა ოთახში შესვლისთანავე, მყისიერად განახორციელეს იმ დროს, როცა თემირლანი საწოლში იწვა⁷⁷.

თავში დაჭრილი თემირლან მაჩალიკაშვილი თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა, რამდენიმედღიანი უშედეგო მკურნალობის შემდგომ.

არასამთავრობო სექტორის მოსაზრებით, აუცილებელია, უზრუნველყოფილ იქნას თემირლან მაჩალიკაშვილის დაჭრის ფაქტზე ეფექტიანი და არა ფორმალური გამოძიების ჩატარება, რომ გამოძიებამ სრულად დააკმაყოფილოს ყოველმხრივი, სრული, ობიექტური გამოძიების სტანდარტი⁷⁸.

შსს-ს გენერალური ინსპექციის მუშაობის არაეფექტურობა

2017 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრს მიმართავდნენ მოქალაქეები, რომლებიც შსს-ს გენერალური ინსპექციის საქმიანობის მიკერძოებასა და არასწორ პრაქტიკაზე საუბრობდნენ. 2017 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრს წარმოებაში ჰქონდა საქმეები, რომელთა უმრავლესობაც შსს-ს გენინსპექციის მიერ მათივე თანამშრომლების მიერ ჩადენილ გადაცდომების არაეფექტიან და მიკერძოებულ მოკვლევას ეხებოდა.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) შეფასებით, სამართალდამცველთა განუზომელი ძალაუფლება არ არის დაბალანსებული ეფექტური შიდა და გარე კონტროლის მექანიზმებით, გენინსპექციის საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები არასაკმარისად ნათელი და განჭვრეტადია, არაფორმალური პროცედურები და დამოუკიდებლობის სუსტი გარანტიები არ ქმნის დისციპლინირების განჭვრეტად პროცესს⁷⁹.

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, დისციპლინური წარმოების შესახებ მოქალაქეთა განცხადებების განხილვის არასრულყოფილი, გაუმჭვირვალე, გაჭიანურებული პროცესი და განმცხადებლის ინფორმირებულობაზე უარის თქმა

⁷⁷ იხ: განცხადება თემაზე: https://emc.org.ge/2018/01/05/emc-377/#_ftn2

⁷⁸ იხ: ინფორმაცია თემაზე: https://emc.org.ge/2018/01/05/emc-377/#_ftn2

⁷⁹ იხ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) შეფასება: <https://emc.org.ge/2017/04/25/emc-255/>

ხელს უშლის კანონიერების და სამართლიანობის თაობაზე საზოგადოებრივი რწმენის ჩამოყალიბებას⁸⁰.

დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმის შექმნის საჭიროება

დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობა კვლავ აქტუალური იყო 2017 წელს. არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველი ინსტიტუციურად დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნის საჭიროებაზე საუბრობდნენ, რომელიც სამართალდამცველთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს გამოიძიებს.

2017 წლის 13 ნოემბერს, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ისაუბრა დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებით არსებულ პოლიტიკურ ნებაზე⁸¹.

2017 წლის 24 ნოემბერს, კოალიციამ „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ მოუწოდა ხელისუფლებას, დამოუკიდებელი საგამომიებო მექანიზმის შექმნის პროცესი დროულად, გამჭვირვალედ და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით წარმართოს⁸².

რეპრესიული ნარკოპოლიტიკა

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, 2017 წლის განმავლობაში, გავრცელებული პრაქტიკა იყო ნარკოტიკული დანაშაულის გამოყენებით არასასურველი პირების იზოლაცია, რაც გასულ წლებში სისტემურ სახეს ატარებდა. სამწუხაროდ, ნარკოტიკული ნივთიერებების შესაძლო ჩადებაზე საუბარი ბოლო თვეების განმავლობაში კვლავ აქტუალური გახდა. „წულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის პირობებში შემუშავებული და დღესაც მოქმედი რეპრესიული ნარკოპოლიტიკა კომფორტულ სივრცეს ქმნის პოლიციისა და პროკურატურისთვის, განახორციელონ მოქალაქეებზე სხვადასხვა ტიპის ზეწოლა, იძულება და სხვა არაკანონიერი მიზნები.

სამწუხაროდ, ამ დრომდე არ გატარებულა ადეკვატური ზომები, იმისთვის, რომ სამართალდამცავ უწყებაში არსებული დაუსჯელობის სინდრომი აღმოფხვრილიყო და სათანადო რეაგირება მოჰყოლოდა პოლიციელთა მხრიდან ჩადენილ გადაცდომებს⁸³.

⁸⁰ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში:

<http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4923.pdf>

⁸¹ იხ. იუსტიციის მინისტრის განცხადება: <https://1tv.ge/news/tea-wulukiani-premieris-doneze-gvaqvs-maghali-politikuri-neba-sheiqmnas-damoukidebeli-sagamodziebo-meqnizmi/>

⁸² იხ. კოალიციის განცხადება: http://www.coalition.ge/index.php?article_id=172&clang=0

⁸³ იხ. განცხადება სრულად: http://www.coalition.ge/index.php?article_id=159&clang=0

2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას 0,00009 გრ. ნარკოტიკული საშუალება- დეზომორფინის დამზადების, შეძენისა და შენახვისათვის⁸⁴.

2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ნარკოტიკული საშუალება-კანაფის (მცენარე) პირადი მოხმარების მიზნებისათვის უკანონოდ დათესვის ან მოყვანისათვის სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, ასევე ამავე მუხლის მეორე ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 151 გრამამდე კანაფის (მცენარე) პირადი მოხმარების მიზნებისთვის უკანონოდ დათესვის, მოყვანის ან კულტივირებისთვის⁸⁵.

2017 წლის 30 ნოემბერს, საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა „გირჩის“ სარჩელი, რომელშიც მოქალაქე გივი შანიძე მარიხუანის განმეორებითი მოხმარებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საერთოდ გაუქმებას ითხოვდა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ საქართველოში მარიხუანის მოხმარება გარკვეულწილად დეკრიმინალიზებულად შეიძლება ჩაითვალოს⁸⁶.

მთავარი პროკურატურის ახალი დეპარტამენტი და საქმეთა ხელახალი განხილვა

2017 წლის განმავლობაში, მთავარი პროკურატურის ახალმა დეპარტამენტმა ყოფილ პოლიტპატიმართა საქმეების გამოძიების მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, რაც მათი გამართლების მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოსთვის მიმართვებში გამოიხატა:

⁸⁴ იხ. ინფორმაცია:

https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/rule_of_law/opinion_of_giorgi_mshvenieradze_and_marine_kapanadze.pdf

⁸⁵ იხ. ინფორმაცია:

https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/rule_of_law/opinion_of_giorgi_mshvenieradze_and_marine_kapanadze.pdf

⁸⁶ იხ. ინფორმაცია: <https://1tv.ge/news/sakonstitucio-sasamartlom-marikhuanas-mokhmarebaze-siskhlis-samartlis-pasukhismgebloba-gaauqma/>

- **ბაკურ კილურადის საქმე**

საქართველოს პარლამენტის მიერ პოლიტპატიმრად აღიარებულ ბაკურ კილურადის საქმეზე მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა ხელახალი გამოძიება ჩაატარა. ჩატარებული ხელახალი გამოძიების შედეგად, პროკურატურა აცხადებს, რომ დარწმუნდა ბაკურ კილურადის უდანაშაულობაში და დადგენილებით მის მიმართ დამდგარი განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო.

დადგენილება, რომელიც ადასტურებს ბაკურ კილურადის უდანაშაულობას, პროკურატურამ, ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვის მიზნით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარუდგინა. წარდგენილი დადგენილებით პროკურატურა ბაკურ კილურადის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამამართლებელი განაჩენის დადგომას მოითხოვს.⁸⁷ ბაკურ კილურადის ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს.

- **ვახტანგ მაისაიას საქმე**

2017 წელს, მთავარი პროკურატურის ახალმა დეპარტამენტმა დაიწყო ყოფილი პოლიტპატიმრის ვახტანგ მაისაიას ჯაშუშობის ბრალდებისა და მის მიმართ განხორციელებული წამების ფაქტების საქმის ხელახალი გამოძიება. ვახტანგ მაისაია მოწმის სტატუსით დაიკითხა. ამჟამად მთავარი პროკურატურის ახალ დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება. ვახტანგ მაისაიას ინტერესებს ადამიანის უფლებათა ცენტრი იცავს.

ფარული მიყურადება და მოსმენები

2017 წლის 1 მარტს საქართველოს პარლამენტმა რიგგარეშე სხდომაზე მესამე მოსმენით მიიღო საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც ფარული საგამოძიებო ღონისძიებების განსახორციელებლად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს დაქვემდებარებული ახალი სააგენტოს შექმნას ითვალისწინებს⁸⁸.

კამპანიის „ეს შენ გეხება“ წევრებმა მიიჩნიეს, რომ პარლამენტის მიერ აღნიშნული საკანონმდებლო პაკეტის მიღება არის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უგულვებელყოფის სამწუხარო პრეცედენტი. აღნიშნული რეფორმით არათუ ვერ გვარდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის

⁸⁷ იხ: ინფორმაცია ბაკურ კილურადის საქმეზე:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19147&lang=geo>

⁸⁸ იხ. ინფორმაცია კანონზე: <http://www.tabula.ge/ge/story/117784-parlamentma-ets-mosmenebis-shesaxeb-kanoni-mesame-mosmenit-miigho>

კუთხით ქვეყანაში არსებული პრობლემები, არამედ კიდევ უფრო მატულობს პერსონალურ მონაცემთა ხელშეუხებლობის დარღვევის რისკები⁸⁹.

საქართველოს სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასა ფარულ საგამომიებო მოქმედებებთან დაკავშირებით პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი და მიიჩნია, რომ ე.წ. „გასაღების“ კვლავ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტროლქვეშ დატოვება ვერ უზრუნველყოფს ერთი მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილების აღსრულებას და მეორე მხრივ, უკანონო ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებული უნდობლობის გაქარწყლებას⁹⁰.

2017 წლის აპრილის თვეში, კამპანიამ „ეს შენ გეხება“ 227 მოქალაქის სახელით ფარულ მოსმენა-მიყურადების კანონთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სარჩელი შეიტანა სასამართლოში და კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა⁹¹.

ქალთა უფლებები

2017 წელს „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციის რატიფიცირებით, საქართველოს სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონმა გააფართოვა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმები⁹².

2017 წლის ცვლილებების თანახმად, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მოქმედი რედაქცია მოიცავს არა მარტო ოჯახში ძალადობის ფარგლებს, არამედ, ზოგადად ქალის მიმართ გამოვლენილ ძალადობასაც; შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოყენება შესაძლებელია ქალის მიმართ ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი მუხლი⁹³, რომელიც ითვალისწინებს ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების

⁸⁹ იხ. კამპანია „ეს შენ გეხებას“ განცხადება:

<https://www.esshengexeba.ge/?menuid=9&id=1151&lang=1>

⁹⁰ იხ. სახალხო დამცველის განცხადება:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19118&lang=geo>

⁹¹ იხ. ინფორმაცია საკონსტიტუციო სარჩელზე:

<https://www.esshengexeba.ge/?menuid=9&id=1153&lang=1>

⁹² იხ. კანონი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422>

⁹³ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133²-ე მუხლი,

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>

კრიმინალიზაციას. ამ სახის ქმედებათა სისხლის სამართლის წესით დასჯადად გამოცხადება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როცა უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლინდა ქალთა გენიტალიების დასახიჩრების შემთხვევა.

2017 წელს, დაფიქსირდა ფემიციდის შემთხვევებიც⁹⁴. საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, 2017 წლის 1 იანვრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით გამოძიება დაიწყო ქალთა მკვლელობის 22 ფაქტზე და ქალთა მკვლელობის მცდელობის 11 ფაქტზე. უკანასკნელი წლების განმავლობაში გენდერული ნიშნით ქალთა გახშირებული მკვლელობების ფონზე, სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, ყოველწლიურად მოამზადოს და წარმოადგინოს ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში⁹⁵.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოძიება კვლავ პრობლემად რჩება. 2017 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები ოჯახში ძალადობის საქმეებზე საჩივრებით მიმართავდნენ შსს-ს, პროკურატურას და ითხოვდნენ ოჯახში ძალადობის საქმეთა გამოძიებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური მუხლებით, რაც ოჯახში ძალადობას ეხება. ესაა სსკ-ის 126¹-ე (ოჯახში ძალადობა) და 11¹-ე (პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის) მუხლები. ადვოკატების მიზანს გამოძიების ორგანოების მიერ ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოძიების სწორი პრაქტიკის დანერგვა და მსხვერპლთა ადეკვატური დაცვის ხელშეწყობა წარმოადგენდა. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო ზოგადი მუხლებით, როგორცაა: სსკ-ის 125-ე (ცემა), 118-ე (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) და 120-ე (ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) მუხლები. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვის საფუძველზე, მითითებული მუხლები გადაკვალიფიცირდა ოჯახში ძალადობის მუხლზე (სსკ-ის 126¹). საქმეთა ანალიზიდან ირკვევა, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოძიების სსკ-ის სპეციალური მუხლებით დაწყება კვლავ პრობლემას წარმოადგენს⁹⁶.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება კვლავ პრობლემად რჩება. ადამიანის უფლებათა ცენტრის ადვოკატებმა არაერთხელ მიმართავეს პროკურატურის ორგანოებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით. დაზარალებულის სტატუსს

⁹⁴ იხ. ინფორმაცია ფემიციდის საქმეზე:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19243&lang=geo>

⁹⁵ იხ. სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში:

<https://www.youtube.com/watch?v=DJRLj0EVNcY>

⁹⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის 2017 წლის ანგარიში - ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებები:

<http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/HRC-report%20%E2%80%93GEO-kdit.pdf>

შედარებით დროულად ანიჭებენ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლებს, ხოლო ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ძალადობისა და მუქარის მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება პრობლემად რჩება⁹⁷.

2017 წლის 16 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველმა ოჯახში ძალადობის ორ საქმეზე არაეფექტური რეაგირების გამო რეკომენდაციით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. რეკომენდაციით საქართველოს სახალხო დამცველმა მოითხოვა საქმეების საფუძვლიანად შესწავლა და ქმედითი ღონისძიებების გატარება ოჯახის წევრთა დასაცავად.⁹⁸

რელიგიურ უმცირესობათა უფლებები

2017 წელს, კვლავ დაფიქსირდა რელიგიის თავისუფლების ხელყოფის ფაქტები.

2017 წელს, ადამიანის უფლებათა ცენტრმა აწარმოა საქმეები რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის მიმართულებით. საქმეები შეეხება მეჩეთების მშენებლობის ნებართვის მოპოვებას. საკულტო თუ სხვა ტიპის ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები კვლავ პრობლემად რჩება საქართველოში. რელიგიური უმცირესობები ხშირად მშენებლობის ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან ნებართვის მიღებაზე დაუსაბუთებელ უარს იღებენ და წინააღმდეგობებს აწყდებიან⁹⁹.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) შეფასებით, არადომინანტი რელიგიური ჯგუფებისთვის კვლავაც სერიოზულ გამოწვევად რჩება საკულტო-რელიგიური ნაგებობების მშენებლობა. დომინანტი რელიგიური ჯგუფისადმი ღია ლოიალობის გამო, ადგილობრივი ხელისუფლება რელიგიურ ორგანიზაციებს ხშირად დისკრიმინაციულ უარს ეუბნება საკულტო-რელიგიური ნაგებობის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. ზოგიერთ შემთხვევაში, რელიგიური ნაგებობის მშენებლობაზე უარს კიდევ უფრო ღრმა პოლიტიკური

⁹⁷ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის 2017 წლის ანგარიში - ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებები:

<http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/HRC-report%20%E2%80%93GEO-kdit.pdf> ; <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19116&lang=geo>

⁹⁸ იხ. სახალხო დამცველის განცხადება:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19315&lang=geo>

⁹⁹ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის 2017 წლის ანგარიში - ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებები:

<http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/HRC-report%20%E2%80%93GEO-kdit.pdf> ;

მიზეზები აქვს, რაც სახელმწიფოს ზოგად დისკრიმინაციულ პოლიტიკას უკავშირდება¹⁰⁰.

როგორც საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშიდან ირკვევა, სახალხო დამცველს რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე ძალადობის მხოლოდ სამი შემთხვევის შესახებ მიმართეს, რაც სახალხო დამცველის შეფასებით, მსგავსი დანაშაულების კლების ტენდენციაზე მიუთითებს¹⁰¹. თუმცა, სახალხო დამცველი კვლავ გამოწვევად თვლის წინა წლებში გამოვლენილი ძალადობის ფაქტების გამოძიებას.

დევნილთა უფლებები და ოკუპირებული ტერიტორიები

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, იძულებით გადაადგილებული პირები ნაკლებად არიან ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათ არ აქვთ ამომწურავი ინფორმაცია დევნილთა ჩასახლებებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ, კვლავ პრობლემას წარმოადგენს ე.წ. ნახევრადდაკანონებული ობიექტები, რომელთა სრული პრივატიზაციაც ამ დრომდე არ ხერხდება. კვლავ პრობლემად რჩება ავარიულ შენობებში დევნილთა ცხოვრების საკითხი¹⁰².

არასამთავრობო ორგანიზაციებმა განცხადება გაავრცელეს ოკუპირებულ აფხაზეთში დე ფაქტო საპარლამენტო არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით. მათი შეფასებით, ოკუპირებულ აფხაზეთში 2017 წლის 12 მარტის ე.წ. საპარლამენტო არჩევნები უკანონოა, ხოლო მის შედეგებს არ ძალუძს არსებითი ცვლილებები შეიტანოს ლეგიტიმურ პოლიტიკურ სივრცეში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე¹⁰³.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

2017 წლის 21 ოქტომბერს ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. მას აკვირდებოდნენ საქართველოს და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციები, როგორცაა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება,

¹⁰⁰ იხ: ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) შეფასება:

https://emcrights.files.wordpress.com/2017/09/emc_e18398e183a1-e18390e1839ce18392e18390e183a0e18398e183a8e18398.pdf

¹⁰¹ იხ. ინფორმაცია თემაზე: <http://ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-angarishis-prezentacia-2017-wels-saqartveloshi-adamianis-uflebata-da-tavisuflebata-dacvis-mdgomareobis-shesaxeb.page>

¹⁰² იხ. ინფორმაცია დევნილთა უფლებების შესახებ::

<https://www.youtube.com/watch?v=DJRLj0EVNcY>; <http://ombudsman.ge/uploads/other/4/4959.pdf>

¹⁰³ იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19154&lang=geo>

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ადამიანის უფლებათა ცენტრი და სხვა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არჩევნებს დააკვირდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ და კონფლიქტისპირა სოფლებში.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, გორის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლებში და ახმეტის, თელავის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში არჩევნები, ძირითადად, მშვიდ და სამართლიან გარემოში ჩატარდა. აღნიშნული მუნიციპალიტეტების იმ უბნებზე, სადაც ადამიანის უფლებათა ცენტრმა მონიტორინგი განახორციელა კენჭისყრის პროცესი მიმდინარეობდა ძირითადად მშვიდ ვითარებაში, არსებითი დარღვევების გარეშე. საუბნო კომისიის თავმჯდომარეები ითვალისწინებდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების ზეპირსიტყვიერ შენიშვნებს პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით¹⁰⁴.

პრობლემები მეტწილად აღირიცხა საგარეჯოსა და თელავის მუნიციპალიტეტების ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოქალაქეებით დასახლებულ სოფლებში, სადაც, ერთი მხრივ, კომისიის წევრთა არასათანადო მომზადების, მეორე მხრივ კი, ამომრჩეველთა მიერ ხმის მიცემის წესების არცოდნის გამო, იქმნებოდა დამაბულობა, ზოგიერთ უბანზე კი დაფიქსირდა დარღვევები¹⁰⁵.

შემაშფოთებელ ტენდენციად იქცა ზოგიერთი საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე პარტიების კოორდინატორების, მხარდამჭერებისა და აგიტატორების გადამეტებული აქტიურობა და ამომრჩეველთა კონტროლის მცდელობა. აღნიშნული პრობლემები დაფიქსირდა როგორც თელავისა და საგარეჯოს, ასევე გორისა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში¹⁰⁶.

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, არჩევნებმა ძირითადად მშვიდობიან გარემოში ჩაიარა, ცალკეული დარღვევები მეტწილად საარჩევნო კომისიის წევრების არასათანადო მომზადებით იყო გამოწვეული. დარღვევები შეეხებოდა უბნების დაგვიანებით გახსნას, კომისიის მიერ საჩივრის დარეგისტრირებაზე უარის თქმას, საკონტროლო ფურცლების არასწორად შევსებას და სხვა¹⁰⁷.

¹⁰⁴ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში:

<http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hrdc/angarishebi-archenebi%202017.pdf>

¹⁰⁵ ინფორმაცია დეტალურად იხილეთ ბმულზე:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19365&lang=geo;>

<http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=1248&lang=geo>

¹⁰⁶ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში:

<http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hrdc/angarishebi-archenebi%202017.pdf>

¹⁰⁷ იხ. სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში:

<https://www.youtube.com/watch?v=DJRLj0EVNcY>; <http://ombudsman.ge/ge/reports/specialuri->

OSCE/ODIHR სადამკვირვებლო მისიის ანგარიშის თანახმად, „ზოგადად, კენჭისყრიმ დღემ მოწესრიგებულ ვითარებაში ჩაიარა, უბნების გახსნის და ხმების დათვლის პროცესმა კარგი ან ძალიან კარგი შეფასება დაიმსახურა თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე მცდელობა დაფიქსირდა, როდესაც ამომრჩევლებზე ზეწოლას ახდენდნენ და უნდოდათ აღერიცხათ, თუ ვინ აძლევდა ხმას“¹⁰⁸.

ლგბტ პირთა უფლებები

2017 წელსაც გამოწვევას წარმოადგენდა ლგბტ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტები, მათ მიმართ ჰომოფობიური დამოკიდებულება და სიმულვილით მოტივირებული დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიება.

2017 წლის 25 აგვისტოს, თანასწორობის მოძრაობის წევრებს ლ.ბ.-ს და თ.კ.-ს და მათთან ერთად მყოფ ტრანსგენდერ ქალებს გამთენიისას, ბათუმის ბულვარში, უცხო პირები დაესხნენ თავს. ლ.ბ.-მ და თ.კ.-მ პოლიციის თანამშრომლებს სთხოვეს დახმარება, რომლებიც თავდასხმას უმოქმედოდ აკვირდებოდნენ, შემდეგ კი ძალის გამოყენებით მხოლოდ ლ.ბ. და თ.კ. დააკავეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ჰომოფობიური ნიშნით. დაკავებულთა ცნობით, პოლიციის თანამშრომლებმა არ განუმარტეს მათი უფლებები, დაკავების მიზეზი და არც ტელეფონზე დარეკვის საშუალება მისცეს. მათი თქმით, ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი ქონდა პოლიციის განყოფილებაშიც¹⁰⁹.

2017 წლის 26 აგვისტოს, არასამთავრობო ორგანიზაციებმა მთავარ პროკურატურას პოლიციის თანამშრომლებისა და ასევე კერძო პირების მხრიდან ლ.ბ.-სა და თ.კ.-ს ცემისა და შეურაცხყოფის ფაქტებზე დროული, დამოუკიდებელი და ეფექტიანი გამოძიების ჩაატარებისკენ მოუწოდეს¹¹⁰.

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, საზოგადოებაში ფესვგადგმული ნეგატიური სტერეოტიპული განწყობები აქეზებს ლგბტ თემის მიმართ შეუწყნარებლობასა და ძალადობას¹¹¹.

angarishebi/2017-wels-saqartveloshi-adamianis-uflebata-da-tavisuflebata-dacvis-mdgomareobis-shesaxe.page

¹⁰⁸ იხ. OSCE/ODIHR სადამკვირვებლო მისიის ანგარიში: <http://droa.ge/?p=13134>

¹⁰⁹ იხ. ინფორმაცია ლგბტ პირთა უფლებების შესახებ:

<http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/449105-sakhalkho-damcveli-prokuraturas-samarthaldamcavebis-mier-thanastorobis-modzraobis-tsevrebis-mimarth-savaraudo-arasathanado-mopyrobis-faqtz-drouli-reagirebiken-moutsodebs.html?ar=A>

¹¹⁰ იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება:

<http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/449224-arasamthavroboebi-thanastorobis-modzraobis-aqtivistebthan-dakavshirebith-ganckhadebas-avrceleben.html?ar=A>

¹¹¹ იხ. სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში:

<https://www.youtube.com/watch?v=DJRLj0EVNcY>; <http://ombudsman.ge/ge/reports/specialuri>

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება და ბათუმის მოვლენები

2017 წლის 11 მარტს, მოქალაქეთა პროტესტი, რომელიც ბათუმში მანქანის არასწორი პარკირებისათვის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებსა და მოქალაქეებს შორის სიტყვიერი შელაპარაკების საფუძველზე დაიწყო, გასცდა მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს. იგი დაპირისპირებასა და არეულობაში გადაიზარდა, რასაც შედეგად ძალადობა, ჯანმრთელობის დაზიანება და ქონების განადგურება მოჰყვა¹¹².

საქართველოს სახალხო დამცველისა და არასამთავრობო სექტორის შეფასებით, აღნიშნულ პროცესში სამართალდამცავთა რეაგირება დაგვიანებული იყო¹¹³.

მედიის თავისუფლება

2017 წელს სრულად დასრულდა „რუსთავი 2“-ის საქმის განხილვა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წილი ქიბარ ხალვაშს და მის კომპანიას გადაეცა. ტელეკომპანიის წილებთან დაკავშირებული დავა უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა¹¹⁴.

2017 წლის 3 მარტს „რუსთავი 2“-ის იურისტების მიმართვის საფუძველზე, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „რუსთავი 2“-ის საქმეზე გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა¹¹⁵. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 7 მარტს გადაწყვიტა, რომ „რუსთავი 2“-ის საქმეზე უზენაესი სასამართლოს 2 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების დროებით შეჩერება „შემდგომ პროცედურებამდე“ გაეხანგრძლივებინა. სასამართლომ ასევე მოუწოდა ხელისუფლებას, თავი შეეკავებინა ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში

angarishebi/2017-wels-saqartveloshi-adamianis-uflebata-da-tavisuflebata-dacvis-mdgomareobis-shesaxe.page

¹¹² იხ. ინფორმაცია ბათუმის მოვლენების შესახებ:

https://www.youtube.com/watch?v=kbJiOdZ_NX4

¹¹³ იხ. საიას განცხადება: <https://gyula.ge/post/arasamtavrobo-organizaciebis-ganckhadeba-batumshi-ganvitarebuli-movlenebis-shesakheb#sthash.Phu5Wa1.dpbs>; სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში: <https://www.youtube.com/watch?v=DJRLj0EVNcY>;

<https://www.youtube.com/watch?v=DJRLj0EVNcY>; <http://ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/2017-wels-saqartveloshi-adamianis-uflebata-da-tavisuflebata-dacvis-mdgomareobis-shesaxe.page>

¹¹⁴ იხ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ინფორმაცია:

<http://www.interpressnews.ge/ge/samartali/421357-nika-gvaramia-sasamarthlom-rusthavi-2-qibar-khalvashs-miakuthvna.html?ar=A>

¹¹⁵ იხ. ინფორმაცია „რუსთავი 2“-ის შესახებ: <http://netgazeti.ge/news/177737/>

ჩარევისგან¹¹⁶. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების დროებითი შეჩერების გაგრძელების მოთხოვნით მიმართეს¹¹⁷.

ამჟამად „რუსთავი 2“-ის საქმეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იხილავს.

გამოხატვის თავისუფლება

2017 წლის 9 ივნისს, რეპერების ჯგუფის „ბირჟა მაფიას“ წევრები დააკავეს¹¹⁸. პოლიცია აცხადებდა, რომ რეპერები ნარკოტიკული დანაშაულის ბრალდებით არიან დაკავებულნი. საქმეს საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი სწავლობდა, რომლის შეფასებითაც, ეჭვები გაჩნდა, რომ დაკავება უკავშირდება რეპერების მუსიკალური კლიპის შინაარსს, რითაც პოლიცია იყო გაშარჟებული. სახალხო დამცველის შეფასებით, მათი შემოქმედება გამოხატვის თავისუფლებით იყო დაცული¹¹⁹. „ბირჟა მაფიის“ წევრები სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა¹²⁰. საქმის განხილვა სასამართლოში მიმდინარეობს.

შშმ პირთა უფლებები

2017 წელს კვლავ აქტუალურია გამოწვევები შშმ პირთა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის, შრომისა და დასაქმების, მისაწვდომობის, სოციალური დაცვის უფლებების სათანადო რეალიზების კუთხით. ამასთანავე, ბრკოლდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭების სოციალური მოდელის დანერგვა. ასევე, პრობლემად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფა¹²¹.

¹¹⁶ იხ. ინფორმაცია „რუსთავი 2“-ის შესახებ:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19179&lang=geo>

¹¹⁷ იხ. ორგანიზაციების მიმართვა: [http://www.transparency.ge/post/general-](http://www.transparency.ge/post/general-announcement/arasamtavrobo-organizatsiebis-mimartva-adamianis-uplebata-evropul-sasamart)

[announcement/arasamtavrobo-organizatsiebis-mimartva-adamianis-uplebata-evropul-sasamart](http://www.transparency.ge/post/general-announcement/arasamtavrobo-organizatsiebis-mimartva-adamianis-uplebata-evropul-sasamart)

¹¹⁸ იხ. ინფორმაცია: <http://netgazeti.ge/news/200084/>

¹¹⁹ იხ. შეფასება: სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში:

<https://www.youtube.com/watch?v=DJRLj0EVNcY>; <http://ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/2017-wels-saqartveloshi-adamianis-uflebata-da-tavisuflebata-dacvis-mdgomareobis-shesaxe.page>

¹²⁰ იხ. ინფორმაცია „რუსთავი 2“-ის შესახებ: : <http://www.tabula.ge/ge/story/121022-birzha-mafias-tseveri-mishka-mgaloblishvili-giraos-sanacvlod-gaatavisufles>

¹²¹ იხ. სახალხო დამცველის ანგარიში: <https://www.youtube.com/watch?v=DJRLj0EVNcY>; <http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/shezguduli-shesadzleblobis-mqone-pirta-uflebrivi-mdgomareoba2.page>

უვიზო მიმოსვლა შენგენის წევრ ქვეყნებში

2017 წლის 8 მარტს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნდა ევროკავშირის საბჭოს N539/2001 რეგულაციის ცვლილება, რომლის თანახმად, საქართველომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მქონე ქვეყნების სიაში გადაინაცვლა.

შესაბამისად, 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ ბიომეტრიულ პასპორტს, შეძლებენ ვიზის გარეშე ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში გამგზავრებას.

უვიზოდ მოგზაურობა შესაძლებელია შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას. უვიზო მიმოსვლა ასევე შესაძლებელია შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანასთან¹²²:

ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიება

2017 წელს, საქართველოს სამოქალაქო კოალიციამ - „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის“¹²³ მუშაობა განაახლა.

კოალიციის თავმჯდომარე ორგანიზაციად წევრებმა ადამიანის უფლებათა ცენტრი აირჩიეს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც კოალიცია ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა ფორუმზე, მათ შორის - სასამართლოს სხვადასხვა ორგანოს წინაშე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, იყო და არის ICC-ის მიერ საქართველოში ადგილობრივი წარმომადგენლობის გახსნა. კოალიციის შეფასებით, წარმომადგენლობის გახსნა უკავშირდება საქართველოში ეფექტიანი გამოძიების განხორციელებას. იმისათვის, რომ გამოძიება იყოს სრულფასოვანი და ეფექტიანი, აუცილებელია ადგილობრივი ოფისი, სადაც დასაქმებული პერსონალი ადგილზე აქტიურად იმუშავებს სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე. მათ შორის არის ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და, ასევე - დაზარალებულთა ცნობიერების ამაღლებაც.

2017 წლის 13-16 ივნისს, ჰააგაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ყოველწლიური სტრატეგიული მრგვალი მაგიდის შეხვედრების სერია გაიმართა. შეხვედრებს

¹²² იხ: ინფორმაცია თემაზე: <http://mfa.gov.ge/visa-free-guide.aspx>

¹²³ კოალიციაში შედიან: ადამიანის უფლებათა ცენტრი, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ფონდი - ღია საზოგადოება საქართველო, 21-ე საუკუნე, GCRT, ICCN, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი, ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი, „საერთაშორისო სამართლიანობა“.

ესწრებოდნენ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მოსამართლეები და პროკურორი, ასევე პროკურორის ოფისის, რეგისტრატურისა და სასამართლოს სხვა სექციების წარმომადგენლები. საქართველოდან შეხვედრებში მონაწილეობდნენ ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“, ადამიანის უფლებათა ცენტრის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის წარმომადგენლები¹²⁴.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მე-16 ასამბლეის ფარგლებში, რომელიც ნიუ იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში 4-14 დეკემბერს გაიმართა, ადამიანის უფლებათა ცენტრის თანადირექტორმა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის საქართველოს კოალიციის თავმჯდომარემ, ნინო ცაგარეიშვილმა სასამართლოს წევრი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების წინაშე ისაუბრა იმ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რაც აგვისტოს ომის გამოძიებას ახლავს თან და მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს თანამშრომლობისკენ, გამოძიების ეფექტურად წარმართვისათვის¹²⁵.

არასამთავრობო სექტორის შეფასებით, მნიშვნელოვანია, საზოგადოებას, განსაკუთრებით არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და თავად დაზარალებულებს, მიეწოდოთ ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. ამის გარეშე გამოძიება ვერ იქნება გამჭვირვალე და არაგამჭვირვალე გამოძიება უკვე, თავისთავად, არის პრობლემა¹²⁶.

უფლებადამცველთა შეფასებით, გამოძიების პროცესში, ისევე როგორც მტკიცებულებების მოგროვების ეტაპზე, არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია¹²⁷.

საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებების შესახებ

2017 წლის განმავლობაში, საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად ეხმარებოდა სხვადასხვა სფეროში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს და საგამოძიებო უწყებებს მათი დროული და მიუკერძოებელი გამოძიებისკენ მოუწოდებდა. სახალხო დამცველი აფასებდა სასამართლო რეფორმის საკითხებს, ინსტიტუციურ რეფორმებს, პენიტენციურ სისტემას, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების პოლიტიკას, ბავშვთა და ქალთა უფლებებს, შშმ პირთა ხელმისაწვდომობის საკითხებს, შრომით უფლებებს, ძალოვანი სტრუქტურების მიერ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს,

¹²⁴ იხ: დეტალური ინფორმაცია კოალიციის შესახებ:

<http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19380&lang=geo>

¹²⁵ იხ: ინფორმაცია თემაზე: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19426&lang=geo>

¹²⁶ იხ: განცხადება: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19173&lang=geo>

¹²⁷ იხ: განცხადება: <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=19173&lang=geo>

გამოძიების არაეფექტურობას, რელიგიური შეუწყნარებლობის ფაქტებს, ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებს, მედიის თავისუფლებას და სხვა¹²⁸.

თავდასხმები საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტზე

არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეშფოთება გამოხატეს სახალხო დამცველის, უჩა ნანუაშვილის მისამართით გამოთქმულ და ამავდროულად, თვით ომბუდსმენის ინსტიტუტის დისკრედიტაციის შემცველ განცხადებებზე, რომელსაც ე. წ. ციანიდის საქმეზე განაჩენის გამოცხადების შემდგომ დღეებში ავრცელებდნენ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის - მაღალი თანამდებობის პირები¹²⁹.

განცხადებები, ძირითადად, უკავშირდებოდა სახალხო დამცველის მიერ 2017 წლის 15 ნოემბერს გამოქვეყნებულ მონიტორინგის შედეგებს ე. წ. ციანიდის საქმეზე¹³⁰. დოკუმენტში, რომელიც საქმის გამოძიების მასალების შესწავლისა და სასამართლო პროცესის მონიტორინგის შემდგომ მომზადდა, სახალხო დამცველმა სერიოზულ პროცესუალურ ხარვეზებზე გაამახვილა ყურადღება. მონიტორინგის ანგარიშს შეურაცხყოფელი რეპლიკებით გამოეხმაურნენ იუსტიციის მინისტრი¹³¹ და პროკურორი ჯარჯი წიკლაური¹³².

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადება¹³³, საიდანაც ისე ჩანს, რომ სასამართლოს ან წარმოდგენა არა აქვს სახალხო დამცველის მანდატის შესახებ ან ეს წარმოდგენა ემყარება პოლიტიკურ კონიუნქტურას, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ვითარებას¹³⁴.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოუწოდეს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს, თავი შეიკავონ მსგავსი განცხადებებისგან, რითაც ხელს

¹²⁸ იხ: საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში:

<https://www.youtube.com/watch?v=DJRLj0EVNcY>

¹²⁹ იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება:

<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19389&lang=geo>

¹³⁰ იხ. სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგები ე.წ. „ციანიდის“ საქმეზე:

<http://ombudsman.ge/uploads/other/4/4906.pdf>

¹³¹ იუსტიციის მინისტრის განცხადების შესახებ ინფორმაცია, იხ.:

<http://netgazeti.ge/news/234066/>

¹³² პროკურორის განცხადება, იხ.: <http://www.interpressnews.ge/ge/samartali/463245-prokurori-jarji-tsiklauri-sakhalkho-damcvelis-cianidis-saqmis-monitoringis-daskvnas-arakompetenturs-da-usafudzvlotsodebs.html?ar=A>

¹³³ საქალაქო სასამართლოს განცხადების შესახებ ინფორმაცია იხ.:

<http://www.interpressnews.ge/ge/samartali/463306-saqalaqo-sasamarthlo-cianidis-saqmeze-ombudsmenis-angarishze-ucha-nanuashvili-populisturi-ganckhadebith-sazogadoebis-dezinformirebas-cdilobs.html?ar=A>

¹³⁴ იხ. ინფორმაცია: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19389&lang=geo>

უწყობენ სახალხო დამცველის ინსტიტუტის დაკნინებას და დისკრედიტაციას, განსაკუთრებით - საერთაშორისო საზოგადოების თვალში¹³⁵.

2017 წლის 4 ოქტომბერს კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“, ასევე, გამოეხმაურა შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებას¹³⁶, რომელიც შეეხებოდა, მიმდინარე წლის 22 სექტემბერს, პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან დაკავებული მოქალაქის მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტს. მინისტრმა კომენტარი გაუკეთა 27 სექტემბერს მოქალაქე ს.მ.-ს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საქმეზე სახალხო დამცველის სპეციალურ განცხადებას¹³⁷, სადაც სახალხო დამცველმა მოუწოდა პროკურატურას, დაეწყო გამოძიება. ამ განცხადების პასუხად, შინაგან საქმეთა მინისტრმა სახალხო დამცველს მოუწოდა, მის უწყებაში გადაემოწმებინა მსგავსი საკითხები. „მე ყოველთვის მაცდებს ომბუდსმენის ასეთი დამოკიდებულება. მას შეეძლო ამ ინფორმაციის ჩვენთან გადამოწმება. იგი აბსოლუტურად ამომწურავ პასუხს მიიღებდა. უფრო მეტი დაკვირვება და უფრო მეტი სიფრთხილე გვჭირდება, როდესაც პოლიციელებთან მიმართებაში ვაკეთებთ რაიმე განცხადებებს. მე არ მინდა, რომ ისეთი ავტორიტეტული ინსტიტუტი, როგორც ომბუდსმენის ინსტიტუტია, გადაიქცეს კრიმინალების გამპრავებელ კანტორად“¹³⁸, - განაცხადა შს მინისტრმა, გიორგი მღებრიშვილმა.

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“ შეფასებით, „მინისტრის ასეთი საჯარო პოზიციონირება ხელს უშლის ძირეული პრობლემების შესახებ საქმიანი დისკუსიის წარმართვას და განსახილველი საკითხების უკანა პლანზე გადაწევას ემსახურება. ამავედროულად, ასეთი განცხადებები ხელს უწყობს განწყობის ჩამოყალიბებას, რომ “კრიმინალების” მიმართ უფლებების დარღვევის შესაძლო შემთხვევებზე საუბარი არ არის მნიშვნელოვანი. ამ ფონზე, კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებიდან მინისტრის აღნიშნულ განცხადებას სათანადო შეფასება/რეაგირება ამ დრომდე არ მოჰყოლია“.

კოალიციამ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას მოუწოდა პატივი სცენ სახალხო დამცველის ინსტიტუტსა და აპარატს და საკუთარი მოქმედებებით საფრთხე არ შეუქმნან მის ეფექტიან მუშაობას.

¹³⁵ ინფორმაცია ვრცლად: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19389&lang=geo>

¹³⁶ შს მინისტრის განცხადება, იხ.: <https://imedinews.ge/ge/dzalovnebi/29183/shs-ministri-ombudsmenis-samsakhurs-akritikebs>

¹³⁷ იხ. სახალხო დამცველის წინადადება ს.მ.-ს საქმეზე:

<http://ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/winadadebebi/saxalxo-damcvelis-winadadeba-mtavar-prokurors-braldebulis-mimart-savaraudo-arasatanado-mopyrobis-faqtze-gamodziebis-dawyebis-shesaxeb.page>

¹³⁸ იხ. ინფორმაცია: <https://imedinews.ge/ge/dzalovnebi/29183/shs-ministri-ombudsmenis-samsakhurs-akritikebs>

საერთაშორისო ორგანიზაციები და საელჩოები ადამიანის უფლებების შესახებ

ადამიანის უფლებების საკითხებში ევროპის საბჭოს კომისარი ნილს მუჟნიეკსი აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის გატაცების ფაქტს გამოეხმაურა და საქართველოს ხელისუფლების სწრაფი რეაგირება და გამოძიება მოსთხოვა¹³⁹. ნილს მუჟნიეკსმა შემფოთება გამოთქვა მაღალი თანამდებობის პირების მიერ საქართველოს სახალხო დამცველზე განხორციელებულ თავდასხმასთან დაკავშირებით და მათ სახალხო დამცველის კრიტიკისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა¹⁴⁰.

გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ დუბროვკა სიმონოვიჩმა საქართველოს ფემიციდის მონიტორინგის მექანიზმის ჩამოყალიბებისკენ მოუწოდა¹⁴¹.

2017 წლის 27 ნოემბერს, აშშ-ს ელჩმა საქართველოში ხაზი გაუსვა სახალხო დამცველის ინსტიტუტის მნიშვნელობას და განაცხადა, რომ იმისათვის, რომ საქართველო იყოს წარმატებული, გამჭვირავლე და ანგარიშვალდებული დემოკრატიული ქვეყანა, მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია სახალხო დამცველის პოზიცია სხვადასხვა საკითხებზე¹⁴².

2017 წლი 30 ნოემბერში, საქართველოში ვიზიტის დასრულებისას, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლებმა უსაფრთხოების სისტემაზე საპარლამენტო კონტროლის აუცილებლობას გაუსვეს ხაზი. მათი განმარტებით, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც, ქვეყნის მართვაში სულ უფრო იზრდება უსაფრთხოების სამსახურების როლი. თანამომხსენებლებმა ასევე, კომენტარი გააკეთეს მუსტაფა ემრე ჩამუქისათვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების საქმეზე და განაცხადეს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება თავშესაფრის მოთხოვნებთან ან შესაძლო ექსტრადიციასთან დაკავშირებით მხოლოდ ჰუმანიტარულ და ადამიანის უფლებათა სამართალს უნდა ეფუძნებოდეს¹⁴³.

2017 წლის 11 დეკემბერს, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში იანოშ ჰერმანმა, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე

¹³⁹ იხ. ადამიანის უფლებების საკითხებში ევროპის საბჭოს კომისარი ნილს მუჟნიეკსის განცხადება: <http://www.ghn.ge/com/news/view/177690>

¹⁴⁰ იხ. კომისრის განცხადება: <https://imedineews.ge/ge/saqartvelo/36305/evrokomisari-khelisuplebas-urchevs-ombudsmenis-kritikikisgan-tavi-sheikavos>

¹⁴¹ იხ. გაეროს სპეციალური მომხსენებლის განცხადება:

<http://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2017/11/un-women-hosts-international-conference>

¹⁴² იხ. განცხადება: <https://ge.usembassy.gov/ka/ambassador-kellys-remarks-media-meeting-speaker-parliament-november-27-ka/>

¹⁴³ იხ. განცხადება თემაზე: <http://civil.ge/geo/article.php?id=31824&search;http://assembly.coe.int/nw/xml/News/News-View-EN.asp?newsid=6882&lang=2&cat=3>

განაცხადა, რომ ადამიანის უფლებების დაცვაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, თუმცა რჩება შემდეგი გამოწვევები: დამოუკიდებელი საგამომიებო სამსახურისა და შრომის ინსპექციის შექმნა და სხვა¹⁴⁴.

2017 წლის 12 დეკემბერს, აშშ-ს ელჩმა საქართველოში კომენტარი გააკეთა ქალთა უფლებების თემაზე და განაცხადა, რომ ძლიერი და სტაბილური დემოკრატია გულისხმობს საყოველთაო დემოკრატია და ქალების გაზრდილ მონაწილეობას, როგორც ეკონომიკაში, ასევე - პოლიტიკურ ცხოვრებაში¹⁴⁵.

¹⁴⁴ იხ. განცხადებები თემაზე: <https://imedinews.ge/ge/saqartvelo/38737/ianosh-hermani-adamianis-uplebebis-speroshi-progresia-magram-gamotsvevebi-rcheba>

¹⁴⁵ იხ. განცხადება თემაზე: <https://ge.usembassy.gov/ka/ambassador-kellys-remarks-media-womens-political-participation-conference-december-12-ka/>